ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №8-2

ქ. ბათუმი, 13 დეკემბერი, 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

თენგიზ პეტრიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

სხდომას არ ესწრებოდა: დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე, რომელიც იმყოფება კუთვნილ შვებულებაში (ქ.ბათუმის მერის ბრძანება №3/1255, 06.12.2011).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საუკეთესო საკონკურსო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 29 ნოემბერს გამოცხადებული N221 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას გააცნო ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექ-ტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საუკეთესო საკონკურსო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით შესარჩევი კონკურსის შედეგები. 2011 წლის 9 დეკემბრის 15^{00} საათისათვის საკონკურსო წინადადება წარმოდ-გენილი არ ჰქონდა არც ერთ პრეტენდენტს. შესაბამისად, კონკურსი არ შედგა.

საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოთაღნიშნულს.

კომისიამ დაადგინა:

1. რამდენადაც 2011 წლის 9 დეკემბრის 15^{00} საათისათვის საკონკურსო წინადადება არ წარმოადგინა არც ერთმა პრეტენდენტმა, ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საუკეთესო საკონკურსო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით შესარჩევ კონკურსს (კონკურსი N221) მიენიჭოს სტატუსი - კონკურსი არ შედგა.

2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 13 დეკემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

თენგიზ პეტრიძე